სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N2

დ.მესტია 24/04/2013წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*

  - *გოჩა ხორგუანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე;

- კომისიის წევრები:

  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

  - *მაიზერ ჯაფარიძე*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი;

- *კომისიის აპარატის წევრები:*

  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

–*ნოდარ ნიგურიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ურბანიზაციის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 23 აპრილს გამოცხადებული N728 კონკურსი.

<u>ა) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ბეჩოში მდინარე დოლრას გაბიონის მშენებლობა.</u>

<u>ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.კალაში დავბერისა და ვიჩნაშის ხიდების რეაბილიტაცია და გზის დამცავი გაბიონის მშენებლობა.</u>

<u>გ) მესტიის მუნიციპალიტეტი. ლენჯერის ტერიტორიული ორგანო: სოფ. კაერი–ქაშვეთის გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და სოფ. ქაშვეთში ,,ცხარვაშის" ხიდის შეკეთება რეაბილიტაცია</u>

<u>დ) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ნაკრაში სამანქანო გზის რეაბილიტაცია.</u>

<u>ე) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ცხუმარში ცენტრალური გზის,ხიდის და გაბიონის რეაბილიტაცია.</u>

<u>ვ) მესტიის მუნიციპალიტეტის წვიმის თემის სოფელი ელიში მისასვლელი გზისა და გაბიონების მოწყობა-რეაბილიტაცია.</u>

<u>ზ) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭუბერში მდინარე ნენსკრას გაბიონის მსენებლობა.</u>

<u>თ) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ხაიშში ვედში მდ. ხაიუშარაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა.</u>

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"–ზე კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი"–ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი"–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით" განსაზღვრულ მონაცემებს.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“ გამოვლინდეს გამარჯვებულად N728 კონკურსში თანხით 14 000 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: გ.ხორგუანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

ვ.ნაკანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი

ნ. ნიგურიანი